

სს „ხრამჭესი 1“

ფინანსური ანგარიშგება

*2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

სს „ხრამჭესი 1“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

**შინაარსი**

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება .....	8
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	9-37

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ხრამჭესი 1-ის“ აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა

### მოსაზრება

ჩავატარეთ სს „ხრამჭესი 1-ის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფას“) შესაბამისად.

### მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ფას“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის“ („დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების“ ჩათვლით) („IESBA კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

### მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აზრები

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების მე-18 შენიშვნაზე, რომელიც ეხება დაკავშირებულ მხარეებთან კომპანიის გარიგებების მნიშვნელოვან კონცენტრაციას. ამ საკითხს გავლენა არ მოუხდენია ჩვენს მოსაზრებაზე.



**Building a better  
working world**

## ***კომპანიის 2020 წლის წლიურ ანგარიშში ასახული სხვა ინფორმაცია***

სხვა ინფორმაცია გულისხმობს კომპანიის 2020 წლის წლიურ ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. კომპანიის 2020 წლის წლიური ანგარიშში ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება წინამდებარე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არ გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ ჩვენს ანგარიშში.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას.

## ***ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე***

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს აქვს თუ არა კომპანიას უნარი, რომ საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს სხვა რეალური ალტერნატივა.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის მეთვალყურეობაზე.

## ***აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე***

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში.



**Building a better  
working world**

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებს კლიენტების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი განმარტებითი შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება საბაზისო გარიგებებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.



**Building a better  
working world**

ჩვენ მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვ საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

A handwritten signature in blue ink, appearing to read 'ანა კუსრაშვილი' (Ana Kuskurashvili).

ანა კუსრაშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2021 წლის 29 იანვარი

სს „ხრამჭესი 1“


სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

ათას ლარში

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი ელექტროენერჯის რეალიზაციიდან	6	15,530	15,731
ცვეთა	9	(4,358)	(5,062)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი დაზღვევის ხარჯი		(1,658)	(1,409)
რემონტი და ტექნიკური მომსახურება		(708)	(615)
ქონების გადასახადი		(640)	(561)
პროფესიული მომსახურება		(421)	(443)
ტრანსპორტირების ხარჯი		(314)	(223)
ტრანსპორტირების ხარჯი		(140)	(146)
ზარალი ძირითადი საშუალებების გადაფასების შედეგად	9	(3,357)	-
სხვა საოპერაციო ხარჯები		(520)	(520)
<b>საოპერაციო შემოსავალი</b>		<b>3,414</b>	<b>6,752</b>
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	7	(798)	(452)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	7	1,367	1,288
<b>მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე</b>		<b>3,983</b>	<b>7,588</b>
მოგების გადასახადის ხარჯი	8	(1,588)	(1,694)
<b>წლის წმინდა მოგება</b>		<b>2,395</b>	<b>5,894</b>
<b>სხვა სრული შემოსავალი</b>			
<i>მუხლები, რომელთა შემდეგი პერიოდების მოგებაში ან ზარალში რეკლასიფიცირებაც არ ხდება (გადასახადის გათვალისწინებით)</i>			
ძირითადი საშუალებების გადაფასება	9	(6,437)	-
<b>წლის მთლიანი სრული (ზარალი)/შემოსავალი, წმინდა</b>		<b>(4,042)</b>	<b>5,894</b>

ეს ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელძღვანელობის მიერ დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2021 წლის 29 იანვარს:

  
 დევი კანდელაკი  
 გენერალური დირექტორი



  
 ელენა მჭედლიძე  
 ფინანსური დირექტორი

9-37 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „ხრამჭესი 1“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

ათას ლარში

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
<b>აქტივები</b>			
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>			
ძირითადი საშუალებები	9	43,402	51,342
აქტივის გამოყენების უფლება	9	38	58
არამატერიალური აქტივები		49	55
გაცემულ სესხებზე მისაღები თანხები	11	4,676	4,676
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>		<b>48,165</b>	<b>56,131</b>
<b>მიმდინარე აქტივები</b>			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		408	429
საგადასახადო აქტივები, წმინდა		750	623
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	10	7,504	2,584
გაცემულ სესხებზე მისაღები თანხები	11	-	6,049
გადახდილი ავანსები		247	212
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12	1,221	4,654
<b>სულ მიმდინარე აქტივები</b>		<b>10,130</b>	<b>14,551</b>
<b>სულ აქტივები</b>		<b>58,295</b>	<b>70,682</b>
<b>საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>			
<b>საკუთარი კაპიტალი</b>			
სააქციო კაპიტალი	13	3,447	3,447
გადაფასების რეზერვი		11,776	19,734
გაუნაწილებელი მოგება		37,379	42,463
<b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>		<b>52,602</b>	<b>65,644</b>
<b>მიმდინარე ვალდებულებები</b>			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	14	5,647	4,971
საიჯარო ვალდებულებების მოკლევადიანი ნაწილი		22	20
<b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>		<b>5,669</b>	<b>4,991</b>
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>			
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები		24	47
<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>		<b>24</b>	<b>47</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>5,693</b>	<b>5,038</b>
<b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>		<b>58,295</b>	<b>70,682</b>

9-37 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.



სს „ხრამჭესი 1“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

ათას ლარში

	სააქციო კაპიტალი	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
<b>ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>3,447</b>	<b>21,550</b>	<b>44,353</b>	<b>69,350</b>
წლის წმინდა მოგება	-	-	5,894	5,894
<b>წლის სრული შემოსავალი</b>	<b>3,447</b>	<b>21,550</b>	<b>50,247</b>	<b>75,244</b>
გადაფასების რეზერვის ცვეთა	-	(1,816)	1,816	-
დივიდენდები (მე-13 შენიშვნა)	-	-	(9,600)	(9,600)
<b>ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>3,447</b>	<b>19,734</b>	<b>42,463</b>	<b>65,644</b>
წლის წმინდა მოგება	-	-	2,395	2,395
წლის სხვა სრული ზარალი	-	(6,437)	-	(6,437)
<b>წლის სრული შემოსავალი</b>	<b>3,447</b>	<b>13,297</b>	<b>44,858</b>	<b>61,602</b>
ქონების გადაფასების რეზერვის ცვეთა მოგების გადასახადის გათვალისწინებით	-	(1,521)	1,521	-
დივიდენდები (მე-13 შენიშვნა)	-	-	(9,000)	(9,000)
<b>ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>3,447</b>	<b>11,776</b>	<b>37,379</b>	<b>52,602</b>

9-37 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „ხრამჭესი 1“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

ათას ლარში

	შენიშვნა	2020	2019
<b>საოპერაციო საქმიანობა</b>			
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		3,983	7,588
არაფულადი კორექტირებები დასაბეგრი მოგების წმინდა ფულად ნაკადებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით			
ცვეთა	9	4,358	5,062
ამორტიზაცია		13	13
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		(8)	(48)
ზარალი ძირითადი საშუალებების უსასყიდლო მიწოდებიდან		14	57
ზარალი ძირითადი საშუალებების გადაფასების შედეგად	9	3,357	-
საინვესტიციო და ფინანსურ საქმიანობაში საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი		106	119
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები		7	9
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	7	(1,367)	(1,288)
		<b>10,463</b>	<b>11,512</b>
<b>საბრუნავ კაპიტალში შესული ცვლილებები</b>			
ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		21	(117)
ცვლილება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში		(4,920)	(5,297)
ცვლილება გადახდილ ავანსებში		(35)	(21)
წმინდა ცვლილება საგადასახადო აქტივებში		(627)	(25)
ცვლილება სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში		676	125
		<b>5,578</b>	<b>6,177</b>
მოგების გადახდილი გადასახადი		(1,088)	(1,694)
<b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>		<b>4,490</b>	<b>4,483</b>
<b>საინვესტიციო საქმიანობა</b>			
ძირითად საშუალებებში გადახდილი თანხები		(6,203)	(4,612)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი		-	55
სასესხო მოთხოვნებიდან მიღებული შემოსავალი		6,049	2,329
მიღებული პროცენტი		1,367	1,018
<b>საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული / (საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები</b>		<b>1,213</b>	<b>(1,210)</b>
<b>ფინანსური საქმიანობა</b>			
გადახდილი დივიდენდები	13	(9,000)	(9,600)
იჯარების დაფარვა		(30)	(27)
<b>ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>		<b>(9,030)</b>	<b>(9,627)</b>
<b>ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა შემცირება</b>		<b>(3,327)</b>	<b>(6,354)</b>
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	12	4,654	11,127
წმინდა საკურსო სხვაობა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(106)	(119)
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს</b>	12	<b>1,221</b>	<b>4,654</b>

9-37 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

## სს „ხრამჭესი 1“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

#### 1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

სს „ხრამჭესი 1“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოში დაფუძნებული სააქციო საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია ხრამჭესი, წალკის რაიონი.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ელექტროენერჯის წარმოება. მისი ძირითადი საოპერაციო აქტივია საქართველოში, წალკის რაიონში მდებარე ჰიდროელექტროსადგური („ხრამჭესი 1“). წარმოებული ელექტროენერჯია საქართველოში იყიდება. კომპანიის მთავარი კლიენტია საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო - სს „თელასი“.

კომპანიას ხრამჭესი 1-ისთვის აქვს ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზია, რომელსაც ვადა 2024 წლის 24 დეკემბერს ეწურება.

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის აქციების 100%-ის მფლობელი იყო „გარდაბანი ჰოლდინგი ბი.ვი.“ (შემდგომში „მშობელი კომპანია“). კომპანიას აკონტროლებს ღსს „ინტერ რაო ეეს“ (შემდგომში „საბოლოო მშობელი კომპანია“), რომელსაც აკონტროლებს რუსეთის ფედერაცია.

როგორც მე-18 შენიშვნაში აღინიშნა, კომპანია საოპერაციო საქმიანობის ძირითად ნაწილს მშობელი კომპანიის საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებთან აწარმოებს.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა აქციონერის მიერ. აქციონერთა კრება, ჩვეულებრივ, ტარდება საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის პირველ ნახევარში. აქციონერს შეუძლია ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებების შეტანა გამოშვების შემდეგ.

#### 2. მომზადების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ და გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა იმ ძირითადი საშუალებებისა, რომლებიც შეფასებულია გადაფასების მეთოდით.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ათას ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

#### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად. ახლად გამოშვებულ სტანდარტებს არ მოუხდენია მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

**3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

**(ა) უცხოური ვალუტა**

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას კომპანია აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი სამუშაო ვალუტის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის სამუშაო ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. ყველა საკურსო სხვაობა შეტანილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. არაფულადი მუხლების კონვერტაცია, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღრიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

**(ბ) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად**

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

**(გ) ფინანსური ინსტრუმენტები**

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორისთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

**3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

**(გ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)**

**(i) ფინანსური აქტივები**

*პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება*

პირველადი აღიარებისას ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას და ამ კლასიფიკაციას მოგვიანებით გადააფასებს.

ფინანსური აქტივების ისეთი ყიდვა-გაყიდვა, როდესაც საჭიროა აქტივების ჩაბარება ნორმატიული აქტებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (გარიგების სტანდარტული პროცედურა) გათვალისწინებულ ვადაში აღრიცხება გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანია იღებს აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულებას.

*შემდგომი შეფასება*

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ▶ ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით;
- ▶ სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სავალო ინსტრუმენტები);
- ▶ სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;
- ▶ მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

**ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით**

კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ▶ ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით, და
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(გ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

კომპანია ამორტიზებული ღირებულებით აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს თავისი ყველა ფინანსური აქტივისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად კომპანია გამარტივებულ მეთოდს იყენებს. შესაბამისად, კომპანია, ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიამ შეადგინა ანარიცხების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულში მიღებულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები 90 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება.

ყველა ის ფინანსური აქტივი, რომელსაც კომპანია ფლობს 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით და მოიცავს სავაჭრო დებიტორულ დავალიანებას, სასესხო მოთხოვნებს და ფულად სახსრებსა და მათი ეკვივალენტებს.

*აღიარების შეწყვეტა*

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ▶ კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. როდესაც კომპანიას არც გადაუცია და არც შეუნარჩუნებია აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და არც აქტივზე კონტროლი აქვს გადაცემული, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას იმდენად, რამდენადაც შეინარჩუნებს მასში მონაწილეობას. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება ისე, რომ ასახავდეს კომპანიის მიერ შენარჩუნებულ უფლებებსა და მოვალეობებს.

## სს „ხრამჭესი 1“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

##### (გ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

##### (ii) ფინანსური ვალდებულებები

###### *პირველადი აღიარება და შეფასება*

პირველადი აღიარებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები, მოგებასა და ზარალში ასახვით, სესხები და გადასახდელი ანგარიშები, კრედიტორული დავალიანება ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განკუთვნილია ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხებისა და გადასახდელი ანგარიშებისა და კრედიტორული დავალიანების შემთხვევაში, აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიეკუთვნება სესხებსა და გადასახდელ ანგარიშებს და მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაციის პროცესში.

ამორტიზებული ღირებულება გამოანგარიშებულია ნებისმიერი დისკონტის ან შესყიდვის პრემიის, აგრეთვე საზღაურების თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით.

###### *აღიარების შეწყვეტა*

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ჩაანაცვლებს მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ჩაანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის განსხვავება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

**3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

**(გ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)**

**(iii) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა**

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებული კანონი იძლევა აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის უფლებას და არსებობს შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთგაქვითვის, ერთდროულად აქტივების რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის განზრახვა.

**(iv) სამართლიანი ღირებულების შეფასება**

კომპანია ინსტრუმენტებსა და არაფინანსურ აქტივებს, მაგალითად ძირითად საშუალებებს, აფასებს სამართლიანი ღირებულებით საბალანსო უწყისის თითოეული თარიღისთვის.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- ▶ მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

ძირითადი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ თავიანთი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემებს.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, იმ ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

**3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

**(გ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)**

- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების იერარქიის ერთი დონიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კომპანია განსაზღვრავს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, კომპანიამ განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ანალიზი და დამატებითი დეტალები მათი შეფასების მეთოდების შესახებ მოცემულია მე-15 შენიშვნაში.

**(დ) ძირითადი საშუალებები**

**(i) აღიარება და შეფასება**

ძირითადი საშუალებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გადაფასების თარიღის შემდეგ აღიარებული გაუფასურების ზარალი. შეფასება ხდება საკმარისი სიზშირით, რომ გადაფასებული აქტივის სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი საბალანსო ღირებულებისგან.

დანახარჯები მოიცავს აქტივის შემენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. კომპანიის მიერ აშენებული აქტივების თვითღირებულება მოიცავს მასალისა და შრომის პირდაპირ დანახარჯებს და ყველა სხვა ხარჯს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის შესაბამის მდგომარეობაში მოსაყვანად, დემონტაჟის და მოხსნის ხარჯებს, ასევე იმ ტერიტორიის რეაბილიტაციის ხარჯებს, რომლებზეც ეს აქტივები მდებარეობს და შესაბამის აქტივებთან დაკავშირებული სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს. შესყიდული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებელია შესაბამისი აღჭურვილობის ფუნქციონირებისთვის, კაპიტალიზდება, როგორც ამ აღჭურვილობის განუყოფელი ნაწილი.

თუ ძირითადი საშუალებების ერთეულებს სხვადასხვა სასარგებლო გამოყენების ვადა აქვთ, ისინი აღიარდება ძირითადი საშუალებების ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად).

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

**3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

**(დ) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)**

გადაფასების ყოველგვარი ნამეტის აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში და ერიცხება კაპიტალს ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის ნაწილში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი შეაბრუნებს ამავე აქტივის გადაფასების შედეგად შემცირებულ ღირებულებას, რომელიც მანამდე ხარჯად იყო აღიარებული. ასეთ შემთხვევაში ღირებულების გაზრდის აღიარება ხდება გადაფასების შედეგად მიღებული შემოსულობის სახით. გადაფასების დეფიციტის აღიარება ხდება ხარჯის სახით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი გაქვითავს ამავე აქტივზე არსებულ ნამეტს, რაც აღიარებულია ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვში.

აქტივების გადაფასების რეზერვიდან წლიური გადატანა გაუნაწილებელ მოგებაზე ხდება აქტივის გადაფასებული საბალანსო ღირებულების ცვეთასა და აქტივის თავდაპირველი ღირებულების ცვეთას შორის სხვაობით. გარდა ამისა, გადაფასების თარიღისთვის აკუმულირებული ცვეთა ჩამოიწერება აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან და წმინდა ღირებულების გადაანგარიშება ხდება აქტივის გადაფასებული ღირებულების მისაღებად. გაყიდვისას კონკრეტულ აქტივთან დაკავშირებული მთლიანი გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე. ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე.

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

**(ii) შემდგომი დანახარჯები**

ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ამ ნაწილის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება შეიძლება. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ტექნიკური მომსახურების ყოველდღიური ხარჯის აღიარება ხდება მისი დადგომისთანავე სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

**(iii) ცვეთა**

ცვეთის აღიარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგანაც ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

**3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

**(დ) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)**

ცვეთის დარიცხვის მეთოდები, სასარგებლო გამოყენების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაისინჯება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება. 2020 წლის 1 ოქტომბრიდან კომპანიამ ხელახლა შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების არსებული ვადები ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული დაშვებების საფუძველზე. გარე ექსპერტმა შეაფასა კომპანიის ინიციატივით შესრულებული გადაფასების მართებულობა და აქტუალურობა და კომპანიას შესთავაზა გარკვეული კლასის აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადების დაკორექტირება.

მიმდინარე და შესადარისი პერიოდებისთვის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადებია:

შენობა-ნაგებობები	35 წლამდე
მანქანა-მოწყობილობები	2-27 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	2-6 წელი
სხვა	2-5 წელი

ყველა დანარჩენი ფაქტორი დარჩა მუდმივი, ხოლო სასარგებლო გამოყენების ვადების ზემოაღნიშნული ცვლილების შედეგად წლიური ცვეთის ხარჯი 689 ლარით შემცირდა.

**(ე) სასაქონლო-მატერიალური მარაგები**

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების ხარჯს, წარმოების თვითღირებულებას და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის სავარაუდო ხარჯი.

**(ვ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება**

ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც აქტივის წლიური შემოწმება საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას. აქტივის აღდგენითი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოდინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

**3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

**(ვ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)**

როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. აქტივის გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი გამოიყენება. ეს გამოთვლები დასაბუთდება შეფასების კოეფიციენტებით, აქციათა კოტირებული ფასებით საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული კომპანიების შემთხვევაში და სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

კომპანია გაუფასურებას გამოითვლის დეტალური ბიუჯეტისა და პროგნოზირებული გაანგარიშების საფუძველზე, რომლებიც ინდივიდუალურად მზადდება კომპანიის ფულადი ნაკადების წარმომქმნელი თითოეული ერთეულისთვის, რომლისთვისაც გამოყოფილია ესა თუ ის აქტივი. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები, ჩვეულებრივ, ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის გამოითვლება გრძელვადიანი ზრდის ტემპი, რომელიც გამოიყენება ხუთი წლის შემდგომი ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

უწყვეტი ოპერაციების გაუფასურებით გამოწვეული ზარალი, სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების ჩათვლით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგების ხარჯების კატეგორიებში გაუფასურებული აქტივის ფუნქციის შესაბამისად, გარდა მანამდე გადაფასებული ქონებისა, რომლის გადაფასების რეზერვიც აისახა სხვა სრულ შემოსავალში. ასეთი ქონების შემთხვევაში, გაუფასურების აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში ნებისმიერი წინა გადაფასების თანხამდე.

ისეთი აქტივების შემთხვევაში, რომლებშიც გუდვილი არ შედის, ანგარიშგების ყოველი თარიღით ფასდება, არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღმოფხვრილი ან შემცირებულია. თუ ამის ნიშნები მართლაც არსებობს, კომპანია აფასებს აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების შედეგად განცდილი უკვე აღიარებული ზარალის შებრუნება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. შემობრუნების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის ანაზღაურებად ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის გამოკლებით, წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. შემობრუნების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აქტივი აღრიცხულია გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც შემობრუნება აღიარდება, როგორც გადაფასებული ღირებულების ზრდა.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

**3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

**(ზ) შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან**

კომპანია ელექტროენერჯის წარმოების სფეროში საქმიანობს. წარმოებული ელექტროენერჯია იყიდება ელექტროენერჯის გამანაწილებელ კომპანიაზე, რომელიც არის საბოლოო მშობელი კომპანიის საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანია, და პირდაპირ მესამე მხარეებზე. ელექტროენერჯია იყიდება ინდივიდუალური ხელშეკრულებების საფუძველზე და ელექტროენერჯის რეალიზაცია ერთადერთი სახელშეკრულებო ვალდებულებაა. სახელშეკრულებო ვალდებულების დაკმაყოფილება და შემოსავლის აღიარება მაშინ ხდება, როდესაც აქტივზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს, როგორც წესი, აქტივის მიწოდების მომენტში.

შემოსავლების ასახვა ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოდინების ალბათობა მაღალია. ამასთან, შესაძლებელია შემოსავლების სარწმუნოდ შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდება გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტის არსებობასთან დაკავშირებით, კომპანია მიმართავს გამარტივებულ მიდგომას, რაც გულისხმობს იმას, რომ ანაზღაურების ოდენობა არ კორექტირდება დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტის ეფექტის გასათვალისწინებლად, თუკი დაპირებული საქონლის გადაცემასა და გადახდას შორის ვადა მაქსიმუმ ერთი წელია.

ელექტროენერჯის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი გამოითვლება ყოველთვიურად მომხმარებლებისთვის მიყიდული ელექტროენერჯის ოდენობის საფუძველზე, რომელიც განისაზღვრება საქართველოს მაღალი ძაბვის ელექტროქსელის ოპერატორის - საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მიერ გაცემული ელექტროენერჯის მიღება-ჩაბარების აქტივითა და მომხმარებლებთან შეთანხმებით.

ელექტროენერჯის ტარიფებს საქართველოში არეგულირებს საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია („სემეკი“). სემეკის 2017 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებით, 2017 წლის 1 ნოემბრიდან 1 მვ/სთ-ის ტარიფი შეადგენდა 0.09781 ლარს. სემეკის 2019 წლის 28 ნოემბრის დადგენილებით, 2019 წლის 1 დეკემბრიდან 1 მვ/სთ-ის ტარიფი გაიზარდა 0.10837 ლარამდე.

**(თ) გადასახადები**

**(i) მოგების გადასახადი**

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში (მე-7 შენიშვნა). მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც იანგარიშება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

**3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

**(თ) გადასახადები (გაგრძელება)**

დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადის დავალიანება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა საოპერაციო ხარჯებში.

**(ii) დამატებული ღირებულების გადასახადი**

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- ▶ როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებითი ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.
- ▶ დებიტორული და კრედიტორული დავალიანება, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახადელი ან მათგან დასაბრუნებელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის დღე აქტივის (ანაზღაურებადი დღე) ან ვალდებულების ნაწილში.

**(ი) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და მოკლევადიანი დეპოზიტები მოიცავს ფულად სახსრებს ბანკში და სალაროში და მოკლევადიან დეპოზიტებს, რომელთა ვადაც სამი თვე ან უფრო ნაკლებია.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

**3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

**(კ) ანარიცხები**

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი. თუ კომპანია მოელის ანარიცხების მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურებას, მაგალითად სადაზღვევო კონტრაქტის საფუძველზე, ანაზღაურების აღიარება ხდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება გადაწყვეტილია. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები წარმოდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნებისმიერი ანაზღაურების გამოკლებით.

**(ლ) იჯარა**

ხელშეკრულების გაფორმების დროს კომპანია აფასებს, ხელშეკრულება წარმოადგენს ან შეიცავს თუ არა იჯარას. ანუ თუ ხელშეკრულება გულისხმობს გარკვეული პერიოდის განმავლობაში კონკრეტული აქტივის გაკონტროლების ან გამოყენების უფლებას ანაზღაურების სანაცვლოდ.

*კომპანია, როგორც მოიჯარე*

კომპანია იჯარის დაწყების თარიღით აღიარებს გამოყენების უფლებით გადაცემულ აქტივს და საიჯარო ვალდებულებას. გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივი თავდაპირველად თვითღირებულებით ფასდება, რაც მოიცავს იჯარის ამოქმედების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელებული საიჯარო გადახდებით დაკორექტირებული საიჯარო ვალდებულების საწყის ოდენობას. ამას ემატება თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები და საბაზისო აქტივის დემონტაჟსა და ობიექტიდან გატანასთან, ან საბაზისო აქტივის ან ადგილმდებარეობის ობიექტის აღდგენასთან დაკავშირებული სავარაუდო დანახარჯები და აკლდება ნებისმიერი მიღებული საიჯარო შეღავათი.

გამოყენების უფლებით გადაცემულ აქტივს შემდგომში ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის დაწყების თარიღიდან სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე ან საიჯარო ვადის ბოლო თარიღამდე, რომელიც უფრო ადრე დადგება. გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივების სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადა განისაზღვრება ძირითადი საშუალებების ანალოგიურად. გარდა ამისა, გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივი პერიოდულად მცირდება გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში და კორექტირდება საიჯარო ვალდებულების გარკვეული გადაფასებების შედეგად.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომლებიც იჯარის დაწყების თარიღისთვის ჯერ არ გადახდილა, მათი დისკონტირება ხდება საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ან თუ განაკვეთის განსაზღვრა შეუძლებელია, კომპანიის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთით.

## სს „ხრამჭესი 1“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

##### (მ) ახალი და შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაცია

2020 წელს შემდეგი ახალი შესწორებები და ინტერპრეტაციები ამოქმედდა, მაგრამ ისინი გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ▶ ცვლილებები ფასს (IFRS) 3-ში „საწარმოს განმარტება“;
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 7-ში, ფასს (IFRS) 9-სა და ბასს (IAS) 39-ში „საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთის შესწორება“;
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 1-სა და ბასს (IAS) 8-ში: „ტერმინი „არსებითის“ განმარტება“;
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 16-ში „კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა“;

კომპანიას ვადაზე ადრე არ მიუღია ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

#### 4. შეფასებები, მოსაზრებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს მოსაზრებების, შეფასებებისა და დაშვების გაკეთებას, რაც გავლენას ახდენს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარმოდგენილი შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე. თუმცა ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

##### (ა) მოსაზრებები

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში ხელმძღვანელობის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, რომლებიც ყველაზე მეტად მოქმედებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე:

##### (i) ძირითადი საშუალებების სამართლიანი შეფასების სიხშირე

კომპანიამ თავისი ძირითადი საშუალებების აღრიცხვისთვის გადაფასებული ბაზა აირჩია. ბასს (IAS) 16-ის „ძირითადი საშუალებები“ მიხედვით, კომპანია ვალდებულია ისეთი სიხშირით გადაფასოს ძირითადი საშუალებები, რომ საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისგან, რომელიც განისაზღვრებოდა სამართლიანი ღირებულების გამოყენებით ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

ძირითადი საშუალებების ბოლო გადაფასება მოხდა 2020 წლის 30 სექტემბერს და ასახულია ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (მე-9 შენიშვნა).



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

**4. შეფასებები, მოსაზრებები და დაშვებები (გაგრძელება)**

**(ბ) შეფასებები და დაშვებები**

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს.

თუმცა არსებული გარემოებები და მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით გაკეთებული დაშვებები შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში მომხდარი ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც კომპანიის კონტროლს არ ექვემდებარება. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

**(i) სასაქონლო-მატერიალური მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება**

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების ობიექტური ნიშნები. ასეთი ობიექტური მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხა აისახება მიმდინარე პერიოდის ხარჯებში.

**(ii) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი**

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს აღიარებს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ყველა თავისი ფინანსური აქტივისთვის და იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამართვლის გამარტივებულ მეთოდს.

ხელმძღვანელობამ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი იანგარიშა ამ ფინანსური ინსტრუმენტების არსებობის მანძილზე. კომპანიამ გამოიყენა დარეზერვების მოდელი, რომელიც მომზადებულია კომპანიის საკრედიტო ზარალის ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით და დაკორექტირებულია მსესხებლებისა და ეკონომიკური გარემოს საპროგნოზო ფაქტორებით.

კომპანიის შეფასებით, თავის ფინანსურ აქტივებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არაარსებითია და ამიტომ მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე ნულოვანი რეზერვი აღიარა (მე-10 და მე-11 შენიშვნები).

**(iii) ძირითადი საშუალებების გადაფასება**

2020 წლის 30 სექტემბერს დამოუკიდებელმა შემფასებელმა, შპს „XL Partners“-მა, კომპანიის ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა. შემფასებელი არის მსგავსი ტიპის ძირითადი საშუალებების შეფასების სპეციალისტი.

კომპანიის ძირითადი საშუალებების დიდი ნაწილი სპეციფიკური ხასიათისაა და იშვიათად იყიდება ღია ბაზარზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იყიდება მიმდინარე ბიზნესის ნაწილის სახით.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. შეფასებები, მოსაზრებები და დაშვებები (გაგრძელება)

(ბ) შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

საქართველოში არ არსებობს მსგავსი ძირითადი საშუალებებისთვის მოქმედი ბაზარი და შესაბამისად, არ არსებობს საკმარისი მტკიცებულება იმისთვის, რომ მოხდეს ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულების დადგენა საბაზრო ფასებზე დამყარებული მიდგომით. შესაბამისად, ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება ძირითადად განისაზღვრა შეფასების ამორტიზირებული ჩანაცვლების დანახარჯების მეთოდით, გარდა მიწისა, რომელიც შეფასდა უახლესი საბაზრო გარიგებების ანალიზის საფუძველზე.

ამორტიზებული ჩანაცვლების დანახარჯების მეთოდი ითვალისწინებს ძირითადი საშუალების შექმნის ან ჩანაცვლების ღირებულებას, რომელიც კორექტირდება ფიზიკური, ფუნქციონალური და ეკონომიკური ცვეთის და დაძველების მიხედვით. ამორტიზებული ჩანაცვლების დანახარჯები შეფასდა შიდა წყაროებისა და მსგავსი ძირითადი საშუალებების საქართველოს და საერთაშორისო ბაზრების ანალიზის საფუძველზე. ამორტიზებული ჩანაცვლების დანახარჯების განსაზღვრის გარდა, ჩატარდა ფულადი ნაკადების მახასიათებლების ტესტირება, მიღებული თანხების მართებულობის შესაფასებლად. ფულადი ნაკადების მახასიათებლების ტესტირებამ ამორტიზებული ჩანაცვლების დანახარჯების მეთოდით განსაზღვრულ ღირებულებაზე უფრო დაბალი ღირებულება აჩვენა, ამიტომ ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება დაკორექტირდა ფულადი ნაკადების მახასიათებლების ტესტირების მოდელით განსაზღვრული ღირებულების მიხედვით.

**გამოყენების ღირებულების გაანგარიშების ძირითადი დაშვებები**

ფულადი ნაკადების მახასიათებლების ტესტირებისას გამოყენებული ძირითადი დაშვებები:

- ▶ ფულადი ნაკადების პროგნოზირება მოხდა შეფასების თარიღისთვის ფაქტობრივი საოპერაციო შედეგებისა და ბიზნესგეგმის მიხედვით.
- ▶ ფულადი ნაკადების მახასიათებლების ტესტირების მიზნებისთვის ხელმძღვანელობამ ძირითადი საშუალებები განიხილა ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთ ერთეულად, რადგან ისინი ურთიერთდამოკიდებულია და გამავალი ფულადი ნაკადების დიდი ნაწილის გონივრული მიკუთვნება ძირითადი საშუალებების ამა თუ იმ მუხლისთვის შეუძლებელია.
- ▶ 2021 წლისა და 2022-2028 წლებისთვის პროგნოზირებულია, შესაბამისად, 194,000 მვ/სთ და 220,000 მვ/სთ ელექტროენერჯის წარმოება. ეს არის ბოლო 20 წლის განმავლობაში ფაქტობრივად წარმოებული ელექტროენერჯის საშუალო მაჩვენებელი.
- ▶ 2021 და 2022-2025 წლებისთვის 1 მვ/სთ ელექტროენერჯის პროგნოზირებული სარეალიზაციო ფასი, შესაბამისად, შეადგენს 0.10837 ლარსა და 0.02300 ლარს, 2019 წლის 1 დეკემბრით დათარიღებული დადგენილების საფუძველზე სემეკის მიერ განსაზღვრული ტარიფების მიხედვით (მე-3 შენიშვნა). 2026 წლიდან სარეალიზაციო ფასი განისაზღვრა სემეკის მიერ ტარიფის დაწესების ზოგადი მეთოდოლოგიის საფუძველზე: 0.07142 ლარი 2026 წლისთვის, 0.07175 ლარი 2027 წლისთვის და 0.07433 ლარი 2028 წლიდან. ძირითადი საშუალებების აღდგენითი ღირებულების განსაზღვრისთვის გამოყენებული იქნა დისკონტირების 12.5%-იანი საშუალო განაკვეთი. დისკონტირების განაკვეთი მიღებულია დარგის კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების საშუალო მაჩვენებელზე დაყრდნობით.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

**4. შეფასებები, მოსაზრებები და დაშვებები (გაგრძელება)**

**(ბ) შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)**

მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ათი წლის შემდგომი (პროგნოზირებული პერიოდი) საბოლოო ღირებულება შეფასდა უვადო ანუიტეტის დისკონტირების მეთოდით. საბოლოო ღირებულების გამოსათვლელად დაშვებული იქნა 3%-იანი გრძელვადიანი ზრდის ტემპი.

ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული სხვა ძირითადი თანხები ასახავს ხელმძღვანელობის შეხედულებას სამომავლო ბიზნეს ტენდენციების შესახებ და ეყრდნობა იმ დროისთვის ხელმძღვანელობის ხელთ არსებულ გარე და შიდა წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას. ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულების გამოთვლა უფრო მგრძობიარეა შემდეგი დაშვებების მიმართ:

- ▶ დისკონტირების განაკვეთი;
- ▶ სარეალიზაციო ფასები.

*დისკონტირების განაკვეთი*

დისკონტირების განაკვეთი ასახავს ფულის დროით ღირებულებასთან მიმართებაში შესაბამისი აქტივისთვის დამახასიათებელი რისკების მიმდინარე საბაზრო შეფასებას. იგი ასევე მოიცავს შესაბამისი ფულადი ნაკადების ინდივიდუალურ რისკებს, რომლებიც არ არის ასახული სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებაში. დისკონტირების განაკვეთის გამოსათვლელად გამოყენებულია კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება. WACC ითვალისწინებს როგორც მოზიდულ, ისე საკუთარ კაპიტალს. კაპიტალის ღირებულება მიიღება ინვესტორების ინვესტიციებზე მოსალოდნელი უკუგების კოეფიციენტიდან. მოზიდული კაპიტალის ღირებულება ეყრდნობა შედარებადი რისკებისა და ვადების მქონე პროცენტთან ნასესხებ სახსრებს.

*სარეალიზაციო ფასები*

სარეალიზაციო ფასი წარმოადგენს კომპანიის მიერ ერთი მვ/სთ ელექტროენერჯისთვის დაწესებულ გასაყიდ ფასს. 2021-2025 წლების პერიოდის სარეალიზაციო ფასები ეყრდნობა პერიოდისთვის ძალაში შესულ უახლეს ტარიფებს. 2026 წლიდან სარეალიზაციო ფასი განისაზღვრება სემეკის მიერ ტარიფის დაწესების ზოგადი მეთოდოლოგიის საფუძველზე.

**მგრძობელობა დაშვებებში შესული ცვლილებების მიმართ**

ზემოაღნიშნული შეფასებები განსაკუთრებით შემდეგი ფაქტორების მიმართ არის მგრძობიარე:

- ▶ გამოყენებული დისკონტირების განაკვეთის 1%-იანი ზრდა (შემცირება) გამოიწვევდა სამართლიანი ღირებულების 12%-ით (4,506 ლარით) შემცირებას (გაზრდას).
- ▶ სავარაუდო სარეალიზაციო ფასის 5%-იანი ზრდა (შემცირება) გამოიწვევდა სამართლიანი ღირებულების 12.5%-ით (4,883 ლარით) გაზრდას (შემცირებას).

**5. სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა**

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღამდე არ ამოქმედებულა, წარმოდგენილია ბასს 1-ის შესწორებებით „ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად“ და ბასს 16-ის შესწორებებით „ძირითადი საშუალებები: შემოსავალი დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე“.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

**5. სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)**

*ცვლილებები ბასს 1-ში: ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად*

2020 წლის 1 იანვარს ბასსს-მ გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ის „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ 69-76 მუხლებში, რომლებიც აკონკრეტებს ვალდებულებების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიცირების წესებს. ცვლილებები განმარტავს:

- ▶ რა იგულისხმება ანგარიშსწორების გადავადების უფლებაში
- ▶ რომ გადავადების უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს
- ▶ რომ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს იმის ალბათობა, გამოიყენებს თუ არა საწარმო გადავადების უფლებას
- ▶ რომ თუ კონვერტირებად ვალდებულებაში ჩართული წარმოებული ინსტრუმენტი თავად წარმოადგენს წილობრივ ინსტრუმენტს, მხოლოდ ამ შემთხვევაში არ იმოქმედებს ვალდებულების პირობები მის კლასიფიკაციაზე.

*ძირითადი საშუალებები: შემოსავალი დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე - ბასს 16-ის შესწორებები*

2020 წლის მაისში ბასსს-მ გამოუშვა „ძირითადი საშუალებები - შემოსავალი დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე“. ამ შესწორების მიხედვით, საწარმომს ეკრძალებათ ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულებიდან გამოქვითონ ნებისმიერი შემოსავალი ერთეულების გაყიდვიდან, რომელიც წარმოიქმნება ამ აქტივის ისეთ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად, რომელიც საჭიროა ხელმძღვანელობისთვის სასურველი მიზნით მის გამოსაყენებლად. ამის ნაცვლად, საწარმო ასეთი ერთეულების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს და ამ ერთეულების წარმოების თვითღირებულებას აღიარებს შემოსავალში ან ზარალში. შესწორება ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის და რეტროსპექტულად ვრცელდება ძირითადი საშუალებების იმ ერთეულებზე, რომლებიც ექსპლუატაციისთვის მზად არის საწარმოს მიერ ამ შესწორების პირველად გამოყენებისას წარმოდგენილი უადრესი პერიოდის საწყისი ან მის შემდგომი თარიღიდან.

ამ ცვლილებებს, სავარაუდოდ, არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ქვემოთ ჩამოთვლილია სხვა სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა. ეს სტანდარტები, სავარაუდოდ, არ იქონიებს გავლენას კომპანიაზე:

- ▶ ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“
- ▶ შესწორებები ფასს (IFRS) 3-ში „კონცეპტუალური საფუძვლების მითითებასთან“ დაკავშირებით
- ▶ შესწორებები ბასს (IAS) 37-ში „წამგებიანი კონტრაქტები - კონტრაქტის შესრულების ხარჯები“
- ▶ ფასს (IFRS) 1 “ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება” - შვილობილი საწარმო, როგორც საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს-ს

## სს „ხრამჭესი 1“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 5. სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

- ▶ ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ - ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის „10 პროცენტის“ ტესტში მოყვანილი საკომისიოები
- ▶ ბასს (IAS) 41 - „სოფლის მეურნეობა“ - გადასახადით დაბეგვრა სამართლიანი ღირებულების შეფასებებში

#### 6. შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის მთლიანი ოდენობა მიეკუთვნება ელექტროენერჯის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს. შემოსავალი საქართველოში მიიღება. შემოსავალი მომხმარებლების მიხედვით ასე იყოფა:

	2020	2019
შემოსავალი საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ პირზე გაყიდვებიდან (მე-18 შენიშვნა)	8,851	15,731
შემოსავალი მესამე მხარეებზე გაყიდვებიდან	6,679	-
<b>სულ შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან</b>	<b>15,530</b>	<b>15,731</b>

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სახელშეკრულებო ვალდებულებები არ ფიქსირდებოდა.

#### 7. ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები

	2020	2019
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე წმინდა საკურსო ზარალი	(7)	(9)
	(791)	(443)
<b>სულ ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯები</b>	<b>(798)</b>	<b>(452)</b>
საბანკო ანაზრებსა და მიმდინარე ანგარიშებზე საპროცენტო შემოსავალი (მე-12 შენიშვნა)	297	497
საპროცენტო შემოსავალი საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ პირზე გაცემული სესხებიდან (მე-18 შენიშვნა)	1,070	791
<b>სულ ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი</b>	<b>1,367</b>	<b>1,288</b>

საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი ძირითადად გამოწვეულია კომპანიის აშშ დოლარში გამოხატული აქტივებისა და ვალდებულებების გადაანგარიშებით. სავალუტო რისკი უფრო დაწვრილებით აღწერილია მე-15 შენიშვნაში.

#### 8. მოგების გადასახადი

საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებების ამოქმედების შემდეგ (მე-3 შენიშვნა), 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიამ მთლიანად შეაბრუნა თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ შესაბამისად, რათა გადავადებული გადასახადები შეაფასოს 0%-იანი საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოქმედებს გაუნაწილებელ მოგებაზე 2017 წლის 1 იანვრიდან.

2020 წელს კომპანიამ აღიარა 1,588 ლარის მოგების გადასახადის ხარჯი განაწილებულ მოგებაზე (2019 წ.: 1,694 ლარი).

სს „ხრამჰესი 1“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

9. ძირითადი საშუალებები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები შედგებოდა შემდეგისგან:

	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- მოწყობი- ლობები	სატრან- სპორტო საშუა- ლებები	დაუმთავ- რებელი მშენებლობა	სხვა	სულ
<b>თვითღირებულება</b>							
<b>2018 წლის 31 დეკემბრის</b>							
მდგომარეობით	626	33,674	21,612	506	1,642	50	58,110
შემოსვლები	-	-	178	119	4,124	240	4,661
გასვლები	(57)	-	(7)	(31)	-	-	(95)
შიდა გადაცემა	-	-	225	-	(225)	-	-
<b>2019 წლის 31 დეკემბრის</b>							
მდგომარეობით	569	33,674	22,008	594	5,541	290	62,676
შემოსვლები	-	-	208	47	5,912	39	6,206
გასვლები	-	-	(16)	(6)	-	(1)	(23)
შიდა გადაცემა	-	-	398	-	(379)	(19)	-
გადაფასების შედეგად მიღებული ზრდა, ალიარებული სხვა სრულ შემოსავალში	17	925	3,443	332	1,033	83	5,833
გადაფასების შედეგად მიღებული კლება, ალიარებული სხვა სრულ შემოსავალში	-	(5,325)	(6,945)	-	-	-	(12,270)
გადაფასების შედეგად მიღებული ზრდა, ალიარებული მოგება- ზარალის ანგარიშგებაში	-	21	1,437	2	204	5	1,669
გადაფასების შედეგად მიღებული კლება, ალიარებული მოგება- ზარალის ანგარიშგებაში	-	(1,865)	(3,161)	-	-	-	(5,026)
დაგროვილი ცვეთის ჩამოწერა გადაფასებისას	-	(8,646)	(6,195)	(150)	-	(91)	(15,082)
<b>2020 წლის 31 დეკემბრის</b>							
მდგომარეობით	586	18,784	11,177	819	12,311	306	43,983
<b>დაგროვილი ცვეთა</b>							
<b>2018 წლის 31 დეკემბრის</b>							
მდგომარეობით	-	(3,603)	(2,656)	(46)	-	(16)	(6,321)
გასვლები	-	-	3	27	-	-	30
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(2,882)	(2,047)	(77)	-	(37)	(5,043)
<b>2019 წლის 31 დეკემბრის</b>							
მდგომარეობით	-	(6,485)	(4,700)	(96)	-	(53)	(11,334)
გასვლები	-	-	4	5	-	-	9
დაგროვილი ცვეთის ჩამოწერა გადაფასებისას	-	8,646	6,195	150	-	91	15,082
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(2,344)	(1,823)	(118)	-	(53)	(4,338)
<b>2020 წლის 31 დეკემბრის</b>							
მდგომარეობით	-	(183)	(324)	(59)	-	(15)	(581)
<b>წმინდა საბალანსო</b>							
<b>ღირებულება</b>							
<b>2018 წლის 31 დეკემბრის</b>							
მდგომარეობით	626	30,071	18,956	460	1,642	34	51,789
<b>2019 წლის 31 დეკემბრის</b>							
მდგომარეობით	569	27,189	17,308	498	5,541	237	51,342
<b>2020 წლის 31 დეკემბრის</b>							
მდგომარეობით	586	18,601	10,853	760	12,311	291	43,402

სს „ხრამჰესი 1“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

**9. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)**

დამოუკიდებელმა შემფასებელმა, შპს „XL Partners“-მა, კომპანიის ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა 2020 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით (მე-4 შენიშვნა). კომპანიის ძირითადი საშუალებები თვითღირებულების მოდელის გამოყენებით რომ შეფასებულიყო, მათი საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის 31,627 ლარი იქნებოდა (2019 წლის 31 დეკემბერი: 31,608 ლარი).

კომპანია თავის საოფისე ფართებს იჯარით გასცემს. ინფორმაცია საიჯარო ურთიერთობების შესახებ, რომლებშიც კომპანია მოიჯარედ გამოდის, იხილეთ ქვემოთ:

აქტივის გამოყენების უფლება	საოფისე შენობა-ნაგებობა
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ცვეთის დანარიცხი წლის განმავლობაში	77 (19)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ცვეთის დანარიცხი წლის განმავლობაში	58 (20)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	38

**10. სავაჭრო დებიტორული დავალიანება**

	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
სავაჭრო მოთხოვნები საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს მიმართ (მე-18 შენიშვნა)	6,889	2,583
სავაჭრო მოთხოვნები მომხმარებლების მიმართ	615	1
	<b>7,504</b>	<b>2,584</b>

სავაჭრო დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება და, როგორც წესი, 30-დღიანი ვადა აქვს. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს მიმართ სავაჭრო მოთხოვნების ნაწილი ვადაგადაცილებულია, მაგრამ არა გაუფასურებული (მე-15 შენიშვნა). სავაჭრო დებიტორული დავალიანების სავარაუდო რეზერვის გამოსათვლელად კომპანიამ გამოიყენა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის მომავალზე ორიენტირებული მიდგომა. კომპანიის განსჯის საფუძველზე, ამ მეთოდის შესაბამისად გამოთვლილი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არ იყო არსებითი, ამიტომ სავაჭრო დებიტორული დავალიანების რეზერვი არ შექმნილა.

სავაჭრო დებიტორული დავალიანების ნაშთებში მნიშვნელოვანი ცვლილებები უკავშირდება საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოსგან მისაღები ვადაგადაცილებული ნაშთების დაგროვებას. ინფორმაცია საკრედიტო რისკის მოცულობების შესახებ მოცემულია მე-15 შენიშვნაში.

## სს „ხრამჭესი 1“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 11. სასესხო მოთხოვნები

	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
მიმდინარე (ა)	–	6,049
გრძელვადიანი (ბ)	4,676	4,676
	<b>4,676</b>	<b>10,725</b>

(ა) 2019 წლის 26 აგვისტოს საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს მიმართ 7,408 ლარის სავაჭრო მოთხოვნები გარდაიქმნა ლარში გამოხატულ პროცენტთან სესხად, 2020 წლამდე დაფარვის ვადით. სესხი 2020 წლის დეკემბერში დაიფარა.

(ბ) 2018 წლის 1 ივნისს საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს მიმართ 7,024 ლარის სავაჭრო მოთხოვნები გარდაიქმნა ლარში გამოხატულ პროცენტთან სესხად, 2021 წლამდე დაფარვის ვადით. სესხს ჰქონდა ძირითადი თანხის დაფარვის საშელავათო პერიოდი 2019 წლის 31 დეკემბრამდე და პროცენტის გადახდის საშელავათო პერიოდი 2019 წლის 31 იანვრამდე. 2020 წლის ივნისში სესხის პირობები შეიცვალა და მისი დაფარვის ვადა 2022 წლამდე გაგრძელდა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის მომავალზე ორიენტირებული მიდგომა კომპანიამ გამოიყენა ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სასესხო მოთხოვნების სავარაუდო რეზერვის გამოსათვლელად. კომპანიის განსჯის საფუძველზე, ამ მეთოდის შესაბამისად გამოთვლილი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არ იყო არსებითი, ამიტომ საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს მიმართ სასესხო მოთხოვნების რეზერვი არ შექმნილა.

#### 12. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
ნადი ფულის ნაშთი ბანკში	1,221	4,654

ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე დარიცხულმა პროცენტმა 2020 წელს 297 ლარი შეადგინა (2019 წ.: 497 ლარი).

#### 13. საკუთარი კაპიტალი

##### (ა) გამოშვებული კაპიტალი

2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა 3,447,238 ნებადართული და გამოშვებული აქცია, თითოეული - 0.001 ლარად. 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აქციების 100%-ს ფლობს „გარდაბანი ჰოლდინგს ბი.ვი.“.



## სს „ხრამჭესი 1“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 13. საკუთარი კაპიტალი (გაგრძელება)

##### (ბ) დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიას შეუძლია მოგებიდან დივიდენდების გამოცხადება. კომპანიის გაუნაწილებელი მოგება ძირითადად მიღებულია 2011 წლის 1 იანვარს ფასს-ზე გადასვლის დროს ძირითადი საშუალებების გადაფასებით. საქართველოს კანონში არაფერია ნათქვამი კომპანიის უფლებაზე, გაანაწილოს ასეთი რეზერვები დივიდენდების სახით.

2020 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოაცხადა და გადაიხადა 9,000 ლარის ოდენობის დივიდენდები (2019 წ.: 9,600 ლარი).

#### 14. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
დაკავშირებული მხარისთვის გადასახდელი მართვის მომსახურების გასამრჯელო (მე-18 შენიშვნა)	4,270	3,737
დაკავშირებული მხარისთვის გადასახდელი ტექნიკური მომსახურების გასამრჯელო (მე-18 შენიშვნა)	1,222	1,069
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება მომწოდებლების მიმართ	105	102
სხვა კრედიტორული დავალიანება	50	63
	<b>5,647</b>	<b>4,971</b>

ზემოთ მოცემული ფინანსური ვალდებულებების პირობები:

- ▶ მომწოდებლების მიმართ არსებული სავაჭრო კრედიტორული დავალიანება უპროცენტოა და, ჩვეულებრივ, 30 დღეში იფარება;
- ▶ დაკავშირებული მხარეების მიმართ არსებული კრედიტორული დავალიანება გამოწვეულია 2011 წლამდე შესრულებული გარიგებებით, რომლებიც არის ვადაგადაცილებული, მაგრამ გადაუხდელი, რადგან დაკავშირებულმა მხარეს არ მოუთხოვია მისი დაფარვა;
- ▶ მომწოდებლების მიმართ სავაჭრო კრედიტორული დავალიანება და სხვა გადასახდელი ანგარიშები ძირითადად აშშ დოლარშია გამოხატული.

#### 15. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა

##### მიმოხილვა

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებისგან. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია კომპანიის კაპიტალური და საოპერაციო ხარჯების დაფინანსება. კომპანიას აქვს პირდაპირ თავისი ოპერაციებიდან მიღებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება და ფულადი სახსრები მიმდინარე ანგარიშებზე.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

**15. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა (გაგრძელება)**

კომპანიის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო რისკები.

კომპანია არის საბოლოო მშობელი კომპანიის მიერ კონტროლირებული დიდი ჯგუფის ნაწილი. ფინანსური რისკების უმეტესი ნაწილი იმართება და კონტროლდება საბოლოო მშობელი კომპანიის დონეზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კომპანიას საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების მიმართ აქვს. ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ნაღდი ფულის მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და მომსახურების ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

**(ა) საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მომწოდებელი ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით ჯგუფს ფინანსური ზარალი მიადგება. კომპანიას საკრედიტო რისკი ემუქრება საოპერაციო საქმიანობის (ძირითადად სავაჭრო დებიტორული დავალიანება) და ფინანსური საქმიანობის ნაწილში, ასევე ბანკებში განთავსებული ანაზრებიდან გამომდინარე.

კომპანიას აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი კონცენტრაცია ერთ კლიენტზე – საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმო - სს „თელასზე“. სს „თელასის“ მიმართ მთლიანი მოთხოვნები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 11,565 ლარს (2019 წლის 31 დეკემბერი: 13,308 ლარი) და შედგებოდა სავაჭრო (მე-10 შენიშვნა) და სასესხო მოთხოვნებისგან (მე-11 შენიშვნა). 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „თელასის მიმართ“ 2,562 ლარის სავაჭრო მოთხოვნები 31-120 დღით, ხოლო 2,722 ლარის სავაჭრო მოთხოვნები - 121-210 დღით იყო ვადაგადაცილებული (2019 წლის 31 დეკემბერი: ნული). 2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სასესხო მოთხოვნები არ იყო ვადაგადაცილებული.

ჯგუფის შიდა ვადაგადაცილებული ნაშთების და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების დაფარვას მართავს საბოლოო მშობელი კომპანია ჯგუფში ფულადი სახსრების საჭიროების, და არა ცალკეული ინსტრუმენტების ვადიანობის მიხედვით. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ სს „თელასი“ კრედიტუნარიანი საწარმოა და ნებისმიერი ვადაგადაცილებული თანხა ამოღებულ იქნება, თუ წარმოიშობა დამატებითი ფულადი სახსრების საჭიროება, ამრიგად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ჩაითვალა არაარსებითად და სს „თელასის“ დავალიანებისთვის რეზერვი არ შექმნილა.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მთლიანად სამ უმსხვილეს ქართულ ბანკშია განთავსებული. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები არც გაუფასურებულია და არც ვადაგადაცილებული.

საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა საანგარიშგებო თარიღისთვის:

	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
სავაჭრო დებიტორული დავალიანება (მე-10 შენიშვნა)	7,504	2,584
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (მე-12 შენიშვნა)	1,221	4,654
სასესხო მოთხოვნები (შენიშვნა 11)	4,676	10,725
	<b>13,401</b>	<b>17,963</b>

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

15. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა (გაგრძელება)

(ბ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიას გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა რომელიმე ფინანსური აქტივით. ლიკვიდურობის მართვის მიმართ კომპანიის მიდგომაა შემდგომისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და კომპანიის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას საკმარისი საკრედიტო თანხების საშუალებით. კომპანიას მიმდინარე ვალდებულებები ძირითადად დაკავშირებული მხარეების მიმართ აქვს და მიმდინარე აქტივებიც დაკავშირებული მხარეებისგან აქვს მისაღები, ამიტომ ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ეს ანიჭებს კომპანიას საკმარის მოქნილობას ვალდებულებების დაფარვის / აქტივების მიღების ვადებთან მიმართებით, რაც აუცილებელია მომავალში ბიზნესის ადეკვატური ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად. საანგარიშგებო თარიღისთვის კომპანიის მიმდინარე აქტივები აღემატება მის მიმდინარე ვალდებულებებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული გადახდების საფუძველზე:

	საბალანსო ლირებუ- ლება	სახელშეკ- რულებო ფულადი ნაკადები	მოთხოვ- ნამდე	0-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე
<b>31 დეკემბერი, 2020 წ.</b>						
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>						
საიჯარო ვალდებულებები	46	53	-	7	20	26
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება (მე-14 შენიშვნა)	5,647	5,647	5,491	156	-	-
	<b>5,693</b>	<b>5,700</b>	<b>5,491</b>	<b>163</b>	<b>20</b>	<b>26</b>
	საბალანსო ლირებუ- ლება	სახელშეკ- რულებო ფულადი ნაკადები	მოთხოვ- ნამდე	0-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე
<b>31 დეკემბერი, 2019 წ.</b>						
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>						
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება (მე-14 შენიშვნა)	67	80	-	7	20	53
საიჯარო ვალდებულებები	4,971	4,971	4,806	165	-	-
	<b>5,038</b>	<b>5,051</b>	<b>4,806</b>	<b>172</b>	<b>20</b>	<b>53</b>

სს „ხრამჭესი 1“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

**15. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა (გაგრძელება)**

**(გ) საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო ფასები ორი ტიპის რისკს შეიცავს: საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სავალუტო რისკს. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებზეც საბაზრო რისკები მოქმედებს, მოიცავს სესხებსა და გადასახდელ ანგარიშებს და მიმდინარე ანგარიშებს ბანკში.

ქვემოთ წარმოდგენილი მგრძობელობის ანალიზები მოცემულია 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. მგრძობელობის ანალიზი მომზადებულია იმის საფუძველზე, რომ წმინდა ვალის ოდენობა, სესხის განაკვეთის პროფილი და ფინანსური ინსტრუმენტების პროპორციული წილი უცხოურ ვალუტებში მუდმივია.

კომპანიას აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკი იმის გამო, რომ ყველა მის ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი აქვს.

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. კომპანიისთვის დამახასიათებელი სავალუტო რისკი, ძირითადად, უკავშირდება უცხოურ ვალუტაში გამოხატულ ფინანსურ ვალდებულებებს.

კომპანია არ ახდენს თავისი სავალუტო რისკის ჰეჯირებას. ქვემოთ პირობითი თანხებით მოცემულია კომპანიის სავალუტო რისკები:

	აშშ დოლარში გამოხატული	
	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	(5,491)	(4,806)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	132	232
<b>რისკის ნეტო ოდენობა</b>	<b>(5,359)</b>	<b>(4,574)</b>

აშშ დოლართან მიმართებით ლარის გამყარება/გაუფასურება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოგების ან ზარალის ქვემოთ წარმოდგენილ თანხებს შემდეგნაირად გაზრდიდა/(შემცირებდა). ანალიზი ეყრდნობა სავალუტო კურსების მერყეობას, რომელიც კომპანიის აზრით მოსალოდნელი იყო ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის. ანალიზი ეფუძნება დაშვებას, რომ ყველა დანარჩენი ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები მუდმივი რჩება.

	გამყარება	გაუფასურება
<b>31 დეკემბერი, 2020 წ.</b>		
აშშ დოლარი (20%-იანი ცვლილება)	1,072	(1,072)
<b>31 დეკემბერი, 2019 წ.</b>		
აშშ დოლარი (20%-იანი ცვლილება)	915	(915)

სს „ხრამჭესი 1“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

**15. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა (გაგრძელება)**

**(დ) სამართლიანი ღირებულებები**

კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების ანალიზი შესაძლებელია შემდეგნაირად:

	დონე	31 დეკემბერი, 2020 წ.		31 დეკემბერი, 2019 წ.	
		საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
<b>ფინანსური აქტივები</b>					
სავაჭრო დებიტორული დავალიანება (მე-10 შენიშვნა)	დონე 3	7,504	7,504	2,584	2,584
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (მე-12 შენიშვნა)	დონე 1	1,221	1,221	4,654	4,654
სასესხო მოთხოვნები (მე-11 შენიშვნა)	დონე 3	4,676	4,676	10,725	10,725
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>					
საიჯარო ვალდებულებები	დონე 3	46	46	67	67
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება (მე-14 შენიშვნა)	დონე 3	5,647	5,647	4,971	4,971

სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული იყო შემდეგი მეთოდები და დაშვებები:

- ▶ ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების და სავაჭრო დებიტორული დავალიანების სამართლიანი ღირებულება დაახლოებით ტოლია მათი საბალანსო ღირებულებისა, ამ ინსტრუმენტების დაფარვის მოკლე ვადის გამო;
- ▶ სასესხო მოთხოვნების და საიჯარო ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სამომავლო ფულადი ნაკადების ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო განაკვეთებით დისკონტირებით.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები წარმოდგენილია გადაფასების მოდელით შეფასებული და სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონისთვის მიკუთვნებული ძირითადი საშუალებებით.

**(ე) კაპიტალის მართვა**

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს კაპიტალის საკმარისი ბაზის შენარჩუნებას, რომ დააკმაყოფილოს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნები.

**16. კაპიტალური დაბანდების ვალდებულება**

**ძირითადი საშუალებების შესყიდვის ხელშეკრულება**

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას გაფორმებული არ აქვს მიმდინარე ხელშეკრულებები ძირითადი საშუალებების შესყიდვის თაობაზე (2019 წ.: ხელშეკრულებები არ ჰქონდა გაფორმებული).

სს „ხრამჭესი 1“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

**17. პირობითი ვალდებულებები**

**საქართველოს საგადასახადო გარემო**

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირია საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა და სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს გაგებული. თუ იმ წლის ბოლოდან, რომელშიც საგადასახადო კანონმდებლობა დაირღვა, ექვსი წელია გასული, საგადასახადო ორგანოებს არ აქვთ უფლება დააკისრონ დამატებითი გადასახადები, ჯარიმა ან საურავი.

ამ გარემოებებმა შეიძლება დამატებითი საგადასახადო რისკები შექმნან საქართველოში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. მაგრამ შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს ბანკის ინტერპრეტაციისგან და თუ ისინი შეძლებენ თავიანთი ინტერპრეტაციის განხორციელებას, ამას შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის ხელმძღვანელობა აფასებს თავის საგადასახადო პოზიციას და განიხილავს იმ გარიგებებს, რომლებიც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ საგადასახადო ორგანოებმა. როდესაც ამის ალბათობა მაღალია, კომპანია ქმნის შესაბამის ანარიცხებს.

**18. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან**

*(i) გარიგებები ხელმძღვანელობასთან*

კომპანიის ხელმძღვანელი გუნდის წევრებმა 2020 წლის განმავლობაში 129 ლარის ოდენობის ანაზღაურება მიიღეს (2019 წ.: 125 ლარი), რაც ასახულია ხელფასებში, ბონუსებსა და დაქირავებულ მომუშავეთა სხვა გასამრჯელოებში.

*(ii) შემოსავალი*

	გაყიდვები დაკავშირებულ მხარეებზე, 2020 წ.	გაყიდვები დაკავშირებულ მხარეებზე, 2019 წ.	დაკავშირებული	დაკავშირებული
			მხარეებისგან მისაღები თანხები 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	მხარეებისგან მისაღები თანხები 2019 წლის 31 დეკემბრისთვის
ელექტროენერჯის გაყიდვა საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები (მე-6 და მე-10 შენიშვნები)	8,851	15,731	6,889	2,583

გაყიდვები ხდება სემეკის მიერ დამტკიცებული ტარიფებით.

სს „ხრამჭესი 1“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

18. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

(iii) სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	დაკავშირებული მხარეებისთვის გადასახდელი თანხები 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	დაკავშირებული მხარეებისთვის გადასახდელი თანხები 2019 წლის 31 დეკემბრისთვის
<i>საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები</i>		
მართვის მომსახურების გასამრჯელო (მე-14 შენიშვნა)	4,270	3,737
ტექნიკური მომსახურების გასამრჯელო (მე-14 შენიშვნა)	1,222	1,069
	<b>5,492</b>	<b>4,806</b>

(iv) გაცემული სესხები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სასესხო მოთხოვნების მთლიანი ნაშთი 4,676 ლარია (2019 წლის 31 დეკემბერი: 10,725 ლარი). 2020 წელს საპროცენტო შემოსავალმა 1,070 ლარი შეადგინა (2019 წ.: 791 ლარი).